პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 131 (12339)

ოთხშაბათი, 6 ივნისი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

გუშინ პლანტაციებში

წყალტუბო. გუმათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქსენია ჯიშკარიანმა ერთ დღეს მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ზინა უშვერიძემ — 72 კილოგრამი, სოფელ გუმბის კოლმეურნეობაში ოლია უშვერიძემ — 70 კილოგრამი, სოფელ მაღლაკის კოლმეურნეობის წევრმა ნორა კანკაძემ — 71 კილოგრამი, სოფელ ჟონეთის კოლმეურნეობაში მერი ჯანელიძემ, ოლოლა ხაჭაპურიძემ, ჟუჟუნა იობიძემ — 70 კილოგრამი თვითეულმა.

ტყიბული. სოფელ გურნის კოლმეურნეობის წევრმა ფურცელა გაბადაძემ მოკრიფა 71 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ვერა დალალიშვილმა — 72, მერი ხერხაძემ — 70, ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრმა ნინო ცქიფურიშვილმა — 80 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

ზუგდიდი. სოფელ კორცხელის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ ციური სორდიამ მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ნათელა კვარაცხელიამ — 75 კილოგრამი. ამ უკანასკნელმა 0,4 ჰექტარზე სულ მოკრიფა 2.350 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.000 კილოგრამისა. ამავე კოლმეურნეობის მეჩაიეებმა მერი ქობალიამ, მელარსა ჭითანავამ, გული ბაკარანძემ მოკრიფეს 60-70 კილოგრამი.

160.000 ტონა ჩაის ფოთოლი

ზეტევა გრძელდება

მახარაძის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ხაზით 5 ივნისამდე მოკრეფილია 19.250 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს წლიური გეგმის 42,9 პროცენტს შეადგენს. სულ შარშანდელთან შედარებით 3.102 ტონით მეტი ჩაის ნედლეულია მოკრეფილი. მახარაძის რაიონში მოკრეფილია 13.597 ტონა, ლანჩხუთის რაიონში — 3.648 ტონა, ხოლო ჩოხატაურის რაიონში — 2.000 ტონა.

ათ დღეში, უდანაკარგოდ!

ჯამოსავლეთ საქართველოს ველმინდვრებში ჩამოცხა. თიბათვე ახლახან დადგა, მაგრამ მცხუნვარე მზემ როდი აცალა, ალაზნის ველზე ერთდროულად შემოგიტია თიბათვემ და მკათათვემ, დაიწყო შვიდწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლის მკა.

ქართველი გლეხი ხომ ბუნების დიდი მცოდნე და მხატვარია. სწორედ გლეხკაცისაა ბრძნული ანდაზა „ანაზე — „ანამ თქვა: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავიხსი, თიბათვეში გული ჩავიდე და მკათათვეში მოვიმკეო“. ამ ანდაზაში გადმოცემულია „ანის მოყვანისა და მკის ვადები. სწორედ რომ ასეა. ვინც აპრილში ჯეჯილს კარგად მოუარა და ფეხი აადგმევინა, ვინც მაისში იმარჯვა და „ანის დათავთავიანებას ხელი შეუწყო, ვინც თიბათვეში თავთავს მარცვლის გულები ჩაუდგა, იხარებს მისი მარჯვენა, მკათათვეში დაუხვავდება პური.

სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა „ანების კარგი მოვლა-პატრონობით თავი ისახელეს. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის გორკის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეები და მექანიზატორები აგროტექნიკის სრული დაცვით უვლიდნენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების ნათესებს. ნაშრომი დაუფასდათ ვარდისუბნელებს. მათ რესპუბლიკაში პირველებმა დაიწყეს შვიდწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლის აღება. მოსავლიანობამ ჰექტარზე 20 ცენტნერს მიაღწია. მკა წარმატებით დაიწყეს აგრეთვე სიღნაღის რაიონის სოფლების ქვემო მაჩხანის, ტიბაანისა და საკობოს კოლმეურნეობებმა. ქვემომაჩხანელებმა ქერის მკა სულ მცირე დროში დაამთავრეს და ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. ახლა პურის მოსავლის აღებას გააჩაღებენ.

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში 212 კომბაინი დროულად შეაკეთეს და „ანებთან მიიყვანეს. სიღნაღის საწარმოო სამმართველოში შემავალი ვარდისუბნის კოლმეურნეობის მექანიზატორმა მიხეილ მჭედლიძემ მოუწოდა რესპუბლიკის კომბაინერებს გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება პურეულის მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ათ სამუშაო დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველნი ჩაებნენ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის კომბაინერი ტ. დალაქიშვილი და გორის რაიონის სოფელ სკრის კოლმეურნეობის კომბაინერი ი. მამუკაშვილი. ამით საფუძველი ჩაეყარა სიღნაღის, გორის, თეთრი წყაროს და სხვა საწარმოო სამმართველოების კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას. სოციალისტური შეჯიბრება ფარაკონა ქალალდზე რომ არ დარჩეს, საჭიროა ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ საწარმოო სამმართველოები, პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელები, აქტივი. სულ მაღლა და მაღლა უნდა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა.

ამ დღეებში გაიმართა გურჯაანის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს მორიგი სხდომა. გამომეღვნენ ის ნაკლოვანებები, რომლებიც მოსავლის აღებისათვის მზადებაშია. სამმართველოს მინდვრებში 117 კომბაინი იმუშავებს, მაგრამ აქედან სამუშაო მდგომარეობაში მხოლოდ 88 კომბაინია. სოფელ უანდაურის კოლმეურნეობაში 1.450 ჰექტარზეა ასაღები პურეული. სჭირდებათ 10 კომბაინი, მაგრამ აქ 4 კომბაინიდან მხოლოდ ერთია მზადყოფნაში, 7 ტრაქტორიდან კი ორი მუშაობს. აქ არც კალოების მოწყობაზე უზრუნიათ და არც ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა წესრიგში მოყვანაზე. სოფელ კალაურის კოლმეურნეობაში სადაც არის დაიწყება მკა, მაგრამ საწყობები ჯერაც არ არის გასუფთავებული, არც კალოებია მოწყობილი, არც მინდვრის გზების წესრიგში მოყვანაზე უფიქრია ვინმეს. საერთოდ კოლმეურნეობის გამგეობას მოსავლის აღების საკითხი არ განუხილავს.

თელავის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას კომბაინების სათადარიგო ნაწილები აკლია. მათ შემოზიდვასა და შეძენაზე ნაკლებად ფიქრობენ. სოფელ ართანის კოლმეურნეობაში კომბაინების რემონტი ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის უქონლობის გამო ჭიანურდება. ახმეტის რაიონის სოფელ ოყეიოს კოლმეურნეობამ პურეული 624 ჰექტარზე უნდა აიღოს. მოსავლის აღებას 3 კომბაინით ფიქრობენ, მაგრამ ჯერ ისინიც არ შეუკეთებიათ. ეს საკითხი, ეტყობა, არც კოლმეურნეობის გამგეობას აწუხებს. და არც პირველად პარტიულ ორგანიზაციას. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის შესახებ თელავის საწარმოო სამმართველოში?

პურეულის მოსავლის აღება რესპუბლიკაში სულ მალე მასობრივად გაჩაღდება. აი სწორედ ახლა გამოჩნდება საწარმოო სამმართველოების უფროხების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგების, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომორგების მაორგანიზებელი ხელი ბელი, ნიჭი და უნარი. ამ ახალმა ორგანოებმა წელს ახლებურად უნდა მოაწყონ მოსავლის შემჯიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღება.

ერთხელ კიდევ შევამოწმოთ, მზად ვართ თუ არა მოსავლის ასაღებად, მთელი ძალები დავრაზმოთ ნაკლოვანებების უმოკლეს ხანში აღმოსაფხვრელად. უქმად არ დავკარგოთ არც ერთი წუთი, გაულწავი არ დავტოვოთ არც ერთი თავთავი, — ასეთია მემინდვრეთა და მექანიზატორთა სადღეისო ამოცანა.

ჰექტარზე 20 ცენტნერი ქერი

— ყანებს ფერი შეეცვალა. გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალი ზოგიერთი კოლმეურნეობის ქერის ყანები. ოქროსფრად ლიცლიცებენ. გუშინ პირველად დავიწყეთ ქერის მკა. მოსავალს კარგი პირი უჩანს, ზოგან ჰექტარზე ილეწება 20 ცენტნერი მარცვალი, — „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს უფროსმა დ. სარიშვილმა განაცხადა:

კარგად მოაწყვეს ქერის მკა ვეჯინის კოლმეურნეობაში. „ს-6“ მარკის კომბაინმა, რომელსაც პეტრე სეფიაშვილი მართავს, პირველ დღეს ქერის მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი. მექანიზატორი პ. სეფიაშვილი გამოეხმაურა ლაგოდეხელ კომბაინერ მ. მჭედლიძეს და პირობა დადო 10 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აიღოს 150 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 18-20 ცენტნერი მარცვალი.

ქერის მკას შეუდგა აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის კომბაინერი სერგო სიმონიშვილი. მან გუშინ „ს-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე ნაცვლად 10 ჰექტარისა.

ხელოვანი

ერთიერთობა ვიმეარდება

მოსკოვი, 4 ივნისი. (საკდესი). აქ ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომისიის მორიგი, XVII სესია, რომელმაც ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

XVII სესიის პერიოდში კომისიის რუმინელი ნაწილის წევრებმა დაათვალიერეს მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, სადაც გაეცნენ უმნიშვნელოვანეს საწარმოო მიღწევებს.

მეგობრების გაცილება

მოსკოვი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს დედაქალაქის ახალგაზრდობამ ოდესაში გააცილა ძვირფასი სტუმრები — ათასი კუბელი ჯაბუკი, რომლებიც სწავლობდნენ ჩვენი სამშობლოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში.

სამუდამოდ დაიხსომებენ ისინი საბჭოთა და კუბელი ახალგაზრდობის მეგობრობის მიტინგს, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მკაფიო სიტყვას, რომელმაც გზა მშვიდობისა და მუშაობაში წარმატება, სიმტკიცე და სიმამაცე უსურვა კუბელებს.

ოდესიდან თბომავალ „საქართველოთი“ ჯაბუკები გაემგზავრებიან ჰავანაში.

„მტრის ზურგში“

დიდი სამამულო ომის პერიოდის ფურცლები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „მტრის ზურგში“, რომელიც მოამზადეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა, საბჭოთა არმიის ცენტრალურმა მუზეუმმა და სსრ კავშირის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმმა. წიგნში მოთავსებულია 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდის ამაღელვებელი დოკუმენტები — ფურცლები, რომლებიც პარტიის მგზნებარე სიტყვას ატარებდნენ, მტერზე გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ჰიტლერულ ჩაგვრას განიცდიდნენ.

დიდი უმრავლესობა ფურცლებისა, რომლებსაც მტრის ზურგში ავრცელებდნენ არალეგალური პარტიზანული ორგანიზაციები და პარტიზანთა რაზმები, პირველად ქვეყნდება. (საკდესი).



ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ამხანაგ ვ. ულბრიხტთან

4 ივნისს კრემლში მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ამხანაგ ვალტერ ულბრიხტთან, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ვ. ულბრიხტს შორის მოხდა აზრთა გაზიარება, რამაც გულითადობისა და ძმური მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

თევზის ჭერისა და თევზის პროდუქციის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი თევზის ჭერისა და თევზის პროდუქციის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ, ასრულებს რა პარტიისა და მთავრობის დირექტივებს გაშლილ ზღვებსა და ოკეანეებში თევზჭერის, განვითარების შესახებ, თევზის მრეწველობამ განვლილ ათწლეულში უზრუნველყო თევზის, ზღვის ნადირისა და ზღვის სხვა პროდუქტების საერთო ჭერის გადიდება 20,2 მილიონი ცენტნერიდან 36,7 მილიონ ცენტნერამდე. თევზის სარეწმა ფლოტმა, რომელიც ამ ხნის მანძილზე თითქმის ერთისამად გადიდდა, გადამწყვეტი ადგილი დაიკავა თევზჭერის განვითარებაში.

მაგრამ თევზის მრეწველობის განვითარების ტემპები და მისი უდიდესი შესაძლებლობანი ჩვენ, ქვეყნის სასურსათო რესურსების გადიდებაში მთლიანად როდია გამოყენებული. თევზის პროდუქციის წარმოების არასაკმაო ზრდის ძირითადი მიზეზია სარეწი ფლოტის, მსოფლიო ოკეანისა და შიდა წყალსატევების უზარმაზარ სანადირეულ შესაძლებლობათა ცუდი გამოყენება. ბევრი თევზის სამეურნეო ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად აწყობს ფლოტის სარეწ და ტექნიკურ ექსპლოატაციას და თევზის ჭერის მატებას უზრუნველყოფენ არა იმ გზით, რომ გაადიდონ თევზის ჭერა გემზე, არამედ ძირითადად თევზსაჭერი ფლოტის რაოდენობრივი ზრდის გზით. შრომის ნაყოფიერება ფლოტში ნელა იზრდება.

მოწინავე გემებისა და ფლოტილიების გამოცდილებას სუსტად სწავლობენ და ნერგავენ და არ იყენებენ იმისათვის, რომ ათმაღლონ მთელი ფლოტის მუშაობა მოწინავე ხომალდების დონემდე. არის შემთხვევები, როცა თევზის სამეურნეო ორგანიზაციები ადგენენ თევზის ჭერის გეგმებს აზარად ნაკლები ოდენობით, ვიდრე თევზსაჭერი გემების სარეწი და ტექნიკური შესაძლებლობაა.

თევზის სამეურნეო ორგანიზაციები საჭიროებენ განიცდიან იმ მხრივ, რომ უზრუნველყონ თევზის დროზე მიღება თევზსაჭერი გემებისაგან უშუალოდ რეწვის რაიონებში, სარეწ ფლოტს ცუდად უზრუნველყოფენ გემების რემონტით, სათადარიგო ნაწილებითა და აგრეგატური რემონტისათვის საჭირო ძრავებით, რასაც მოსდევს გემების ზეგეგმითი მოცდენა რემონტის დროს. გემთსარემონტო ბაზის განვითარება თევზის მრეწველობის ფლოტისათვის ნელა ხორციელდება, ხოლო გემთსარემონტო საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეებს მთლიანად არ იყენებენ.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მეთევზეობა და თევზის ჭერა მდინარეებში, გუბურებში, ტბებსა და წყალსაცავებში.

თევზის დასამუშავებელ საწარმოებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ნედლეულის უფრო რაციონალური გამოყენების, თევზის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების საკითხებს. სერიოზული ნაკლოვანებანია მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, თევზის ჭერისა და დამუშავების პროცესების ავტომატიზაციის განვითარებაში, ახალი მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავებასა და დანერგვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა თევზის ჭერის გადიდებას იმისათვის, რომ უფრო სრულად უზრუნველვყოთ საბჭოთა ხალხის განუწყვეტელი მზარდი მოთხოვნილებანი სურსათზე, და ითვალისწინებენ რა, რომ თევზს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის კვების ბალანსში, დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაუმჯობესონ თევზის სარეწი ფლოტის, სანაპირო საწარმოებისა და თევზმკერი კოლმეურნეობების ხელმძღვანელობა. ჩვენი ქვეყნის თევზის სარეწი რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიაქციონ ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებას თევზის ჭერისა და თევზის პროდუქციის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის.

პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა საქმე ისე უნდა დააყენონ, რომ თვითეული ხომალდი, თვითეული საწარმო და თევზმჭერი კოლმეურნეობა განუწყვეტლივ ადიდებდეს შრომის ნაყოფიერებას, აძლიერებდეს წარმოების ტემპებს, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს თევზის ჭერისა და თევზეულის გამოშვების გეგმებს, უფრო სრულად და რაციონალურად იყენებდეს თევზსაჭერი ფლოტის არსებულ დიდ რეზერვებს, სარეწ ტექნიკასა და ზეგეგმის, ოკეანეებისა და შიდა წყალსატევების უდიდეს სანადირეულ რესურსებს.

თევზის, ზღვის ნადირისა და ზღვის სხვა პროდუქტების ჭერა დასახულია აყვანილ იქნას 1965 წელს 50 მილიონ ცენტნერამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები ვალდებულნი არიან გაუმჯობესონ სარეწი და მიმღებ-სატრანსპორტო ფლოტის მუშაობა, არ დაუშვან ფლოტის უნაყოფოდ მოცდენა, რეწვაზე დაჭერილი თევზის ჩაბარებისა და სარეწი აღჭურვილობის მიღების მოლოდინში. მოწინავე ხომალდების — კომუნისტური შრომის ეკიპაჟების ბაზაზე რეკომენდებულია შეიქმნას საყრდენ-საჭიანები ხომალდები თვითეულ თევზსარეწ რაიონში, სისტემატურად მოეწყოს სემინარები, თათბირები და ტექნიკური კონფერენციები გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად. საჭირო უზრუნველყოფილ იქნას უმაკრესი კონტროლი თევზსაჭერი ფლოტის რემონტის დროზე განხორციელებისადმი, შემცირდეს ნავსადგურებში გემების დგომის ვადები, უკეთ იქნას გამოყენებული ფლოტი რეწვაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს ღონისძიებანი თევზის მრეწველობის ფლოტის რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და გემთსარემონტო საწარმოების სიმძლავრეთა შემდგომი გადიდებისათვის, თევზის მრეწველობის ახალი თანამედროვე გემებით აღჭურვისათვის. დამტკიცებულია აგრეთვე ახალი თევზის სარეწი გემების მშენებლობის 1963-1965 წლების გეგმა.

დადგენილებაში დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ უზრუნველყოფილ იქნას ნედლი თევზისა და ნახევარფაბრიკატების დროული მიღება სარეწი გემებიდან უშუალოდ თევზჭერის რაიონებში. გათვალისწინებულია ფლოტის შევსება მისაღებ-სატრანსპორტო გემებით.

რადიოელექტრონიკის, გემთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტებს დავალებული აქვთ განახორციელონ საშუალები, რათა შემდგომ განვითარდეს და სრულყოფილი გახდეს გემების რადიოკავშირის საშუალებანი, ელექტრორადიოსანაგებაციო მოწყობილობა, ჰიდროაკუსტიკური აპარატურა, გემთწაყვანისა და გემის ტექნოლოგიური პროცესთა კომპლექსური ავტომატიზაციის ხელსაწყობები.

რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ, ლიტვის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ გაუმჯობესონ საზღვაო მეთევზეობის ნავსადგურებში არსებული ნავსადგომების გამოყენება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებისა და კაღრის მუშებით ნავსადგურების დაკომპლექტების გზით. ვლადივოსტოკის, კალინინგრადის, მურმანსკის, ტალინის, კლაიპედისა და რიგის მეთევზეობის ნავსადგურების მშენებლობა უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა რიცხვს მიეკუთვნა.

გათვალისწინებულია განხორციელდეს მოხერხებული და ეკონომიური ვარიანტების თვითმფრინავთა და ვერტმფრინავთა შემუშავება, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია საფრენად, რათა მოემსახურონ ვეშაპ სანადირო, ნადირთსახოც და თევზსაჭერ ფლოტილებს, დაზვერონ თევზი და ზღვის ნადირი, აგრეთვე გადაიტანონ გაყინული და გაცივებული თევზი.

იმ მიზნით, რომ უფრო ეფექტიანად გამოყენებულ იქნას თევზსარეწი ფლოტი, გადიდდეს თევზჭერა საკერი იარაღებით და შემცირდეს მათი დამზადების ხარჯები, დამტკიცებულია ღონისძიებანი ბადეებისა და სარეწი აღჭურვილობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თევზის მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ 1963 წლის 1 იანვრიდან შემოიღონ თევზჭერის დაგეგმვის ერთიანი სისტემა ყველა ტიპის დიდი თევზსაჭერი გემებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს დაამყარონ წესრიგი თევზის მეურნეობის სისტემაში, ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ ორგანოებს, ეკონომიურად, ზრდადი ეფექტიანობით, ეფექტურად, ეკონომიურად, ეფექტიანად, ეფექტურად, ეკონომიურად, ეფექტიანად, ეფექტურად, ეკონომიურად, ეფექტიანად

ПАРТИЈУЛИ ЦХОВРЕБА

სასჯელი ომი— კომბინატორებს, თაღლითებს!

საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე

1. რუსთავი — მეტალურგიისა და დიდი ქიმიის ქალაქი. ორ წელზე მეტია, რაც აქ დაიწყო ლაშქრობა რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრის კომუნისტური, შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევისათვის. ამ მიზნით გაჩაღებულმა ბრძოლამ გარკვეული შედეგები გამოიღო. ახლა ქალაქში ბევრგან შეგხვდებათ კომუნიზმის ხილული ნიშნები. პრინციპი: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ ფართოდ იკვლევს გზას. ქალაქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა კომუნიზმისათვის მომწიფებული ადამიანია. ისინი თავიანთი „პატიოსანი, ენერგიული შრომით აშენებენ კომუნიზმის დიად შენობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სანიმუშო ქალაქშიც ჯერ კიდევ ეხვდებით წამგლეჯებს, კომბინატორებს, მუქთახორებს.

ამ დღეებში შედგა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. შ. თითბერიძის მოხსენება მექრთამეობის, გამფლანგველობისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ორატორებმა მოიყვანეს სოციალისტური საკუთრების გაფლანგვისა და მითვისებისათვის სასამართლო პასუხისგებაში მიცემულ იქნა მრავალი პირი. მათ მიერ მითვისებულმა თანხამ 116.748 მანეთს მიაღწია.

№ 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლები, სარგებლობდნენ რა ცემენტის ქარხნის ზოგიერთი მუშაკის უკონტროლობით, სისტემატურად ფლანგავდნენ ცემენტს, ხოლო ბუხჰალტერიაში ფიქციურ დოკუმენტებს ადგენდნენ. ამ გზით მათ შორშან მოახერხეს 90 ტონა ცემენტის განავება.

ამავე ქარხანაში ადგილი ჰქონდა სახალხო დოვლათის გაფლანგვას თვით მომარაგების განყოფილების მუშაკთა მიერაც. გოგიბერიძე, ვაშაძე, ვერხოტურავი და ეფრემოვი მათ მიერ შეთითხნილი დოკუმენტების საფუძველზე სისტემატურად ითვისებდნენ დიდძალ სახელმწიფო სახსრებს.

ყველა ამის შემდეგ როგორ არ გაუკვირდეს კაცს მათ მიმართ ქარხნის პარტორგანიზაციის „სულგრძელობა“, რომელმაც სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს მხოლოდ საყვედური გამოუცხადა და ისიც სააღრიცხვო ბარათში შეუტანლად.

რუსთავში მიმდინარეობს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. დასამალი არ არის, რომ ზოგჯერ მშენებლობანი ფერხდება ხე-ტყის მასალისა და ქვანის არმატურის ნაკლებობის გამო. და რაოდენ საგანგაშოა, რომ ასეთ პირობებში ადგილი აქვს დეფიციტური სამშენებლო მასალების განავებას. პლენუმზე მოყვანილ იქნა ასეთი ფაქტი: „ტრანსპეცსტროის“ სამშენებლო სამმართველოს მომარაგების უფროსს ბოლქვაძეს ხაშურში მამინ წასასწრეს, როცა სახელმწიფო მანქანით მოპარული ხე-ტყის მასალა და საარმატურე რკინა მიჰქონდა. ბოროტმოქმედი ბოლქვაძე ამჟამადაც მუშაობს აღნიშნულ თანამდებობაზე.

პლენუმზე აღინიშნა სავაჭრო ორგანიზაციების ცუდი მუშაობის მრავალი სანგანგაშო ფაქტიც. მატერიალურ-საპასუხისგებლო პოსტებზე მუშაობენ ისეთი პირები, რომლებიც არ იმსახურებენ ნდობას. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა დამნაშავეებსა და ბოროტმოქმედებს სამუშაოდან ვითომდა თავიანთი განცხადებების საფუძველზე ათავისუფლებენ, შემდეგ კი კვლავ სხვა მატერიალურ-საპასუხისმგებლო პოსტებზე ნიშნავენ (რუსთავვაჭრობის ყოფილი რეგიზორი სუკმანოვი, ყოფილი მთავარი ბუხჰალტერი ნარიშელაშვილი, საქონელმცოდნე მიქაძე და სხვ.).

მომხსენებელი შ. თითბერიძე და კამათის მონაწილეები: ცემენტის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ჩხიტენიძე, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ვიშნიაკოვი, მეტალურგიული ქარხნის ფოლადსაჩამომსხმელო საამქროს მემანქანე მ. ახვლედიანი და სხვები თავიანთ გამოსვლებში აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მექრთამეებსა და გამომძალველებზე. მარტენის საამქროს ერთერთი ცვლის კომკავშირის ორგანიზაციის ყოფილი მდივანი ნოხაძე შეეცადა მიეცა 100 მანეთი ქრთამი საამქროს პარტბიუროს მდივნის ა. გეფერიძისათვის, იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი დახმარებოდა მისთვის ბინის მიცემაში. პარკომის მდივანი ა. გეფერიძე მოწოდებას სამაღლეზე აღიმაწლდა და სათანადო ადგილზე განაცხადა მომხდარი ფაქტის შესახებ.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე, რომ პროფტექნიკური სასწავლებლების კომენდანტები ჯიმშელეიშვილი და დავლიანიძე ფიქციური ცნობების გაფორმების გზით უკანონოდ სწერდნენ საერთო საცხოვრებლებში მოქალაქეებს და გასამრჯელოდ თვითეულისგან 80-100 მანეთს იღებდნენ.

მომხსენებელი და ორატორები ვრცლად შეჩერდნენ კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში არსებულ დამახინჯებებზე.

მრავალი საყურადღებო საკითხი დააყენეს თავიანთ გამოსვლებში მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ლ. ხარბედიამ, აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორმა ა. საღარეიშვილმა, მუშათა სასადილოს ოსტატ-მზარეულმა ნ. ჩაჩხიანმა, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის კომბინატის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მ. გაიდა-ბაშმა და სხვებმა. მათ პრინციპულად ამხილეს ბოროტმოქმედები, წამგლეჯები და ყალბისმქნელები, აღნიშნეს, რომ ადგილებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აზორგანიზებენ საქმიან ღონისძიებებს დანაშაულობათა სრული აღკვეთისათვის.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ვ. კოვანოვმა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო ღონისძიება.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

2. ახალციხის რაიონის მშრომელთა კეთილდღეობისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მხრივ აქ ყველაფერი რიგზე როდია. ეს ძირითადად შეეხება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებს, რის შედეგად რაიონში სათანადო ღონისძიებები არ ხორციელდება გაფლანგვა-დატაცების, ფასების დამახინჯებისა და ზომა-წონაში მოტყუების ფაქტების აღმოფხვრისათვის ადამიანთა შეგნებაში მაგნე გადმონაშთების — კერძო მესაკუთრული მიდრეკილების, თვალსაზიერვის, გამდიდრების, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა დაძლევისათვის.

რაიონში 1961 წელს და 1962 წლის პირველ კვარტალში გამოვლინებულ დანაშაულობათა შორის ბევრი დანაშაული სოციალისტური და საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობას ეხება. მარტო გაფლანგვა-მტაცებლობით სახელმწიფოს 24 ათასი მანეთის ზარალი მოუვიდა.

ახალციხის საკოლმეურნეო-მეთანამშრომლო მშენებლობის ორგანიზაციაში მოკალათებულმა საქმოსნებმა და მაქინატორებმა, ისარგებლეს რა რაიონის ხელმძღვანელობის უკონტროლობით, მოახერხეს დიდი თანხის გაფლანგვა-დატაცება. უფრო მეტიც, რაიონის ხელმძღვანელობის დავალებით ამ ორგანიზაციამ უკანონოდ წამოიწყო სპეციალური ორგანიზაციების — რაიონის სასტუმროს, რაისავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების, ღვინის ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლისა და სხვა მშენებლობანი.

მაქინატორების საქმიანობას ახლა ფარდა ეხდება. წინასწარი მონაცემებით გამორკვეულია, რომ აქ გაფლანგვა-დატაცებლობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი 100 ათას მანეთს აღწევს. კომბინატორები ვერ გაიქცევიან სასტიკ პასუხისმგებლობას, მაგრამ საკითხავია, რაიონის ხელმძღვანელებმა რატომ აქამდე ვერ დაინახეს რამე საეჭვო მათს საქმიანობაში?

რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში სათანადოდ არ ზრუნავენ კადრების შერჩევაზე, აღრიცხვა და სწორად განაწილებაზე.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და პარტიული ორგანიზაციების წყაროებით არასამედო პირები თავიანთ სულგრძელ ახერხებენ მოხვდნენ მატერიალურად სპასუხისმგებლო თანამდებობებზე. „კურორტვაჭრობის“ ობასთუმნის განყოფილების მებუფეტედ მუშაობს გ. დანელიანი, რომელიც სამჯერაა ნასამართლევი, აქედან ორჯერ სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის. ადგენის სოფლის კოოპერატივის სამრეწველო მაღაზიის გამგე-გამყიდველმა გ. ნაზარეტიანმა მითვისა და გაფლანგა 2.488 მანეთი. ამავე მაღაზიაში აღმოჩნდა 7.500 მანეთის უფაქტურო საქონელი. რაიკოოპკავშირის სისტემაში მატერიალურად სპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ ო. ხარატურიანი, დ. მუმლაძე, გ. აბელიანი, მ. თოროსიანი და სხვები, რომლებიც ადრე ნასამართლები იყვნენ სხვადასხვა სერიოზული დანაშაულისათვის.

მუშათა მომმართველების დაბა ვალეს № 5 მაღაზიის გამგე მ. კაბარიანმა და გამყიდველმა მ. ბიბილაშვილმა თითქმის ორმაგ ფასში გაჰყიდეს ხალიჩები, რითაც მომხმარებელს გამოსძალეს 2.114 მანეთი.

ამ და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებების შესახებ საკმაოდ ითქვა ამას წინათ გამართულ პარტიის ახალციხის რაიკომის პლენუმზე, რომელზეც მოხსენება — რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმესა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში — გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. გრძელიშვილმა.

როგორც მომხსენებელმა, ასევე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ლ. ისაკაძემ, ადიგენის მბოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანმა გ. მაშანიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. აბაშიძემ, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ლ. ჯღარკავამ, „საქვაჭრობის“ ახალციხის განყოფილების პარტბიუროს მდივანმა რ. ჰოკონიცკაიამ, წარჩინებულმა მეშახტემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბ. ტეფნაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებებიდან.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ი. გ. რთველიაშვილმა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

ჰ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დასაყრდენია საზოგადოებრივი აქტივი

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე სულ უფრო იზრდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე დასახული ამოცანები.

საბჭოები, რომლებშიც ორგანულად არის შეხამებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა, დიდ ძალას წარმოადგენენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტია მუდამ მტკიცედ მოითხოვდა და კვლავაც მოითხოვს, რომ საბჭოს თვითეული დეპუტატი აქტიურად მონაწილეობდეს სახელმწიფოო საქმიანობაში, ასრულებდეს გარკვეულ სამუშაოს, იყოს ხალხის უანგარო მსახური. ამასთან საბჭოების მთელ მოღვაწეობაში ახლა ისე, როგორც არასოდეს, დიდი როლი ენიჭება საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობას, საზოგადოებრივ საწყისებზე ფართოდ გაშლილ შემოქმედებითს შრომას.

როგორ მუშაობს ამ მხრივ ჩვენი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი?

მთელ თავის მუშაობას საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წარმართავს დეპუტატებისა და საზოგადოებრივი აქტივის ფართო მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა გვასწავლის, რომ აღგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს თანდათანობით გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს სულ უფრო მეტი საკითხი, რომლებიც აღმასრულებელი ორგანოების საშმართველოებისა და განყოფილებების კომპეტენციას შეადგენენ.

პროგრამის ამ მითითებაში დიდი აზრია ჩაქსოვილი. საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანაა აქტიური დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტს პრაქტიკულ საქმიანობაში.

თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსთან შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის, საბალხო განათლების, საბინაო მეურნეობის, კულტსაგანმანათლებლო, სოციალურ უზრუნველყოფისა და სხვა მუდმივი კომისიები.

საბჭოს მუდმივ კომისიებს მუშაობაში ჩაბმული ჰყავს ფართო აქტივი. ეს დიდად უწყობს ხელს ადგილებზე აუცილებელი, საჭირო და ცხოვრებისეული ღონისძიებების განხორციელებას.

საბინაო მეურნეობის მუდმივმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარეა დეპუტატი მ. სოხაძე, შეესწავლა მშრომელთა 375 განცხადება-საჩივარი. კომისიამ აღმასკომის სხდომაზე დასვა განსახილველად ოთხი სახლთმმართველობის მუშაობის საკითხი, მიადწია იმას, რომ ამ სახლთმმართველობებს ძირფესვიანად გაეუმჯობესებინათ შრომის დისციპლინა და ორგანიზაცია.

საბინაო მეურნეობის მუდმივი კომისიიდან დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს აღმასკომს საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვის, მშრომელთა საბინაო პირობების შემოწმებისა და გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე დეპუტატი გ. ფიცხელაური) გულმოდგინედ იბრძვის საწარმოებში სანიტარიული პირობების და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის კომისიის მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმული დეპუტატები იმნაძე, სურგულაძე, ორლოვსკაია, სეფაშვილი, რომელთა დაუღალავ შრომასაც საუკეთესო ნაყოფი მოაქვს.

კულტსაგანმანათლებლო მუდმივი კომისია კომისიის ერთ-ერთ მტკიცე დასაყრდენად ადგილობრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. ბოლოდროინდელ ამ კომისიის ინიციატივით ... ალმასკომის წინაშე დიდმის მასივის მოსახლეობის კულტმომსახურების შესახებ. ამის შედეგად დიდმის მასივის ტერიტორიაზე მოეწყო ყურნალ-გაზეთების კიოსკები, სააფთიაქო ფარდული, ტელეფონი-ავტომატი, გაზეთების ვიტრინა.

სკკპ XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში ამბობდა: „საბჭოების მთელი საქმიანობა ჩვენი საზოგადოების დიადი დემოკრატიულობის საუკეთესო დადასტურებაა. ძალიან ბევრის მოქმედია მატრო ის ფაქტი, რომ საბჭოების დეპუტატთა საერთო რიცხვი ორ მილიონამდე აკაცს შეადგენს. გარდა ამისა, კიდევ ორ მილიონზე მეტი აქტივისტი მონაწილეობს საბჭოების მუდმივ კომისიებში. რომელ წყობილებას შეუძლია მოგვცეს თავისი ნამდვილი დემოკრატიულობის, ტუშმარიტი ხალხურობის ასეთი დადასტურება?!“.

საბჭოს მუდმივ კომისიებთან ერთად აღმასკომი დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას. საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია: ორგანიზაციული, ვაჭრობის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტატგარეშე განყოფილებები, მიწათსარგებლობის, საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების საზოგადოებრივი კომისიები, ამხანაგური სასამართლოები, ქუჩების და სახლების კომიტეტები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, პენსიონერთა საბჭო და სახელმწიფო ქონების დაცვის რეგიზორ-კონტროლიორთა ჯგუფი, რომლებიც ფასდაუდებელ შრომას ეწევიან რაიონში.

თბილისის პირველი მაისის რაიონი მდიდარია ფაბრიკა-ქარხნებით, მსხვილი თუ წვრილი საწარმოებით, სავაჭრო, საკულტურალო, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებით. ამ საწარმო-დაწესებულებათა მუშაობაში რაიონის პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად რაიონული საბჭოს მუდმივ კომისიებს, დეპუტატებს, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ კომიტეტებსა თუ კომისიებს თავიანთი წვლილი შეაქვთ.

შვიდწლედის მეოთხე წლის პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამომშვების გეგმა რაიონმა 104,4 პროცენტით შეასრულა. გეგმის ზევით გამოშვებულია მრავალი ასეული ათასი მანეთის პროდუქცია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმატება საზოგადოებრივ საწყისებზე აღმოცენებულ თვითეულ რგოლში მომუშავე ადამიანთა თავდადებული, კეთილსინდისიერი შრომის შედეგიც არის.

ჩვენი ამოცანაა, როგორც პარტია მოგვიწოდებს, რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში კიდევ უფრო დიდი ადგილი დავუთმოთ საბჭოს მუდმივ და საზოგადოებრივი კომისიების მუშაობას, დეპუტატთა დაუღალავ შემოქმედებითს შრომას, რაც კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი ნაკადი და სამედო გზაა.

შ. თევდორაძე,
თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

ყოველი საათი, ყოველი დღე ახალი შრომითი მიღწევებით აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში. თვითეულ საბჭოთა მშრომელს მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ მხოლოდ დაძაბული და პატიოსანი შრომით შეიძლება განამტკიცოს სამშობლოს ძლიერება, შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ვინ მოთვლის რამდენი სახელოვანი ადამიანი ბუკვს სამშობლოს. აგერ ორი მათგანიც.

ეს ახალგაზრდა მეშახტე ნ. თევდორაძეა — ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი. მისმა ბრიგადამ მარტო მაისის ოც დღეში გეგმის გადამეტებით 288 ტონა საობობი მისცა სამშობლოს და ახლა კვლავაც წარმატებით მუშაობს. მეორე კი მესაოელი პაშა მიხელაძეა, რომელმაც საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს მიაშურა. პირველად გაუჭირდა გოგონას, მაგრამ მალე სძლია სიძნელეს. იგი დღეს კომბინატის მოწინავე მქსოველია და ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს.

სურათებზე: მარჯვნივ — ნ. თევდორაძე, მარცხნივ — პ. მიხელაძე.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა) და გ. გოგობერიძისა.

მეგობრების საჩუქარი

ჩვენ ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილას“ საატურბინო კორპუსში ვართ. ბინის ჭერქვეშ მიმოდიან ხიდური ამწეები, რომლებსაც უხილავი ხელი მართავს. მათ უზარმაზარ ჩარხებთან მიაქვთ დენის გენერატორის მრავალტონიანი დეტალები.

ამ დღეებში აქ იშვა პირველი ტურბინგენერატორი თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისათვის. ჩვენ დავესწარით მის გამოცდას ქარხნის სტენდზე. გიგანტური მანქანის „ქცევას“ ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მისი შემქმნელები — კონსტრუქტორები, ქარხნის ინჟინრები, მუშები.

პირველი ტურბინგენერატორი

ჩვენ ვესაუბრებით ელექტრომანქანათმშენებლობის საბჭოთა სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს — ქარხანა „ელექტროსილას“ მთავარ ელექტრიკოსს, რსფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს რ. ა. ლუტერს. იგი ამბობს, რომ თბილისისათვის განკუთვნილის მსგავსი გენერატორი უკვე მოქმედებს ნაზაროვოს ელექტროსადგურზე. მის კონსტრუქციაში ჩაქსოვილია არსებითად ახალი პრინციპები — სტატორის გრაგნილს უშუალო გაცივება აქვს წყლით, ხოლო როტორს— დაჩქარებული გაცივება წყალბადით. მატრო ამან შესაძლებელი გახადა გენერატორის საექსპლოატაციო თვისებების ამაღლება, იგი მთლიანად შეესაბამება მსოფლიო ელექტრომანქანათმშენებლობის მაღალ დონეს.

მაგრამ თბილისის გენერატორს ისეთი თავისებურებაც აქვს, რომელიც ჯერჯერობით მარტო მას ახასიათებს. ეს თავისებურება გაგვაცნო ტურბინების კოლაბორაციის უფროსის მოადგილემ ინჟინერმა ლ. ი. კრომარამ. ამჟამად ენერგეტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ეგრეთწოდებული ღია ტიპის — უკიდღლო და უსახურავო ელექტროსადგურების აგება. ამასთან მკვეთრად ჩქარდება ენერგეტიკაულ სიმძლავრეთა ჩაგრამა მწყობრში, იზოგება ათასობით ტონა ლითონი, ბეტონი და სხვა მასალები. მაგრამ ბუნებრივია, რომ მოწყობილობის ღია ცის ქვეშ განლაგება შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის მხოლოდ სამხრეთ რაიონებში. და აი თბილისისათვის ახლად დამზადებული გენერატორი გათვალისწინებულია სწორედ პირველი ასეთი სადგურისათვის. ამის შესაბამისად მანქანის კორპუსი შეღებილია ვერცხლისფრად, რაც ხელს უშლის მზით გახურებას და იცავს გენერატორს კოროზიისაგან. შემდეგ, გენერატორი აღჭურვილია სპეციალური გამთბობებით იმ შემთხვევისათვის, თუ უეცრად აცივდა, — იგი მყარად უნდა მუშაობდეს ყოველგვარ პირობებში.

წელს „ელექტროსილა“ ოთხ ვერცხლის ფერ გენერატორს გამოუშვებს. ღია ელექტროსადგურები ხომ კიდევ ახერხებაიჯანში, ნევინომისკსა და ტაშკენტში შენდება. სულ კი შვიდი წლის განავლობაში უნდა დამზადდეს თხუთმეტ ასეთი მანქანა, რომლებიც აღჭურვილ იქნება სტატორისა და როტორის გაცივების სრულყოფილი სისტემით.

ახლა ტექნიკის წინაშე ახალი ზღუდეებია. ხომ არ შეიძლება წყლით გავაცივოთ არა მარტო სტატორი, არამედ როტორიც, რომელიც წუთში 3.000 ბრუნს აკეთებს? წყალი, როგორც გამაცივებელი, ასკერ უფრო ეფექტურია წყალბადზე, მისი გამოყენებით მოხერხდებოდა იმ ტემპერატურული ლიმიტის დაძლევა, რომელიც უკვე თითქმის მთელი საუკუნეა ხელს უშლის ინჟინრებს შექმნან ყველაზე სწრაფი, მძლავრი და თანაც მცირეგაბარიტიანი ენერგეტიკული აგრეგატები.

როტორის გრაგნილის წყლით გაცივების იდეა, — გვეუბნება ელექტრომექანიკის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ტურბოგენერატორთა სექტორის წამყვანი კონსტრუქტორი ა. ვ. შაპირო,— იმდენად გაბედულია, რომ ბევრი სპეციალისტი მას ლამაზ, მაგრამ, სამწუხაროდ განუხორციელებელ ოცნებად თვლიდა.

მაგრამ საბჭოთა ელექტროტექნიკოსებმა მაინც შეძლეს მიეღწიათ წარმატებისათვის. დღეს ჩვენს ქვეყანაში პირველი 50 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორი, რომელსაც სტატორისა და როტორის წყლით გაცივების სისტემა აქვს, უკვე მუშაობს ლენინგრადის მე-2 ჰიდროელექტროსადგურზე.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. ახლა საქმე ეხება იმას, რომ წყლით გაცივებულ იქნას უფრო მძლავრი, თბილისისათვის განკუთვნილის მსგავსი გენერატორები. და ეს ტექნიკური ამოცანა უკვე მალე გადაიჭრება.

ო. კარიშევი.
ლენინგრადი.

„მწვანე ოქრო“ და გამრჯე ადამიანები

ერთი საწარმოო სამმართველოს მუშაობის პრაქტიკიდან

მივცეთ სამშობლოს ოცდაცამეტი ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი! — ასეთი ვალდებულება აქვთ წელს ნაკისრი ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს — ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის რაიონების მეჩაიეებს.

ზუგდიდელებმა წელს გეგმით უნდა მოკრიფონ 19.785 ტონა „მწვანე ოქრო“, წალენჯიხელებმა — 8.800 ტონა, ხობელებმა კი—2.686 ტონა. საწარმოო სამმართველოს ხაზით 2 ივნისის ჩათვლით მოკრეფილი იყო 10.928 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 35 პროცენტს შეადგენს. ხობელმა მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს წლიური გეგმის 38 პროცენტი.

შესამჩნევად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმე, ადგილებზე დამბარება უფრო ოპერატიული, კონკრეტული გახდა. საწარმოო სამმართველოს მუშაკები, ინსპექტორ-ორგანიზატორები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი და მისი ინსტრუქტორები გამოვლინებულ ყველა ნაკლოვანებას სასწრაფოდ ასწორებენ ადგილზე.

საწარმოო სამმართველოს უფროსი ა. ჭეკია წინა დღის ჩაის კრეფის შედეგებს განიხილავდა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში აღებული ტემპი ვერ უზრუნველყოფდა ვალდებულების შესრულებას მაისში. ამის შესახებ სამმართველოს უფროსი ესაუბრა პარტორგს ამხ. ა. ქვარცხავას და გადაწყვიტა ადგილზე გასცნობოდა საქმის ვითარებას. ჩვენ და სამმართველოს უფროსი ინგირის კოლმეურნეობის პლანტაციებში ვართ. მკრეფავები ჯარასავით ტრიალებენ.

— ეს კარგია, — მოუწონა ნამუშევარი სამმართველოს უფროსმა მეორე რგოლის ხელმძღვანელს მ. სორდიას. ასევე შექების ღირსნი აღმოჩნდნენ მეჩაიეები ნარგიზა მამფორია, მ. ჯოლოგუა, ნუნუ პაჭკორია, ზინო დამენია და სხვები. აქ პირველობას არავის უთმობს კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. ახალაია მეთაურობს.

სასიბარტელო და მოსაწონი იყო სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციებში გაჩაღებული შრომა. აქ დაწინაურებულთა შორის პირველ რიგში მეხუთე ბრიგადა დასახელეს. ბრიგადამ წლიური გეგმით 81 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს, ამ ბრიგადამ მაისის დავლება 105 პროცენტით შეასრულა. მეჩაიეები ეთერ გადელია, ცინო ჯოჯუა, ი. ნანავა, ვალიდა თოდუა დღეში 80-100 კილოგრამს კრეფენ.

— ამ კოლმეურნეობის სიამაყეა მეოთხე ბრიგადა, — გვეუბნება აქ. ამ ბრიგადას ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას, ვის სახელსაც ეს კოლმეურნეობა ატარებს, მეუღლე ქეთევანი. მას შარშანდელთან შედარებით უკვე ხუთი ტონით მეტი „მწვანე ოქრო“ აქვს მოკრეფილი. აქ სასახელოდ შრომობს გმირის ქალიშვილი ვინარი, რომელიც ყოველდღიურად 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. იგი დაუსწრებლად სწავლობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე.

შემდეგ საინტერესო აღმოჩნდა სოფელ შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებთან საუბარი.

— ჩვენი სოფელი, — თქვა ერთმა მეჩაიემ, — მდინარე ენგურის გაღმაა. ჩაის პლანტაციები კი გამოღმა. სოფელი თორმეტი კილომეტრით არის დაშორებული პლანტაციებს და ძნელია სიარული...

— მარტო ეს როდი გვაწუხებს, — ჩაურთო სიტყვა შუახნის ასაკის ქალმა, — როცა მდინარე ადიდდება ბორანზე გასვლა გვიჭირს, ზოგჯერ კი ბორანიც არა გვაქვს. ასეთ პირობებში ვართ. შრომა არ გვეზარება, მაგრამ ხშირად ღღიური კრეფის ნორმას ვერ ვასრულებთ.

— რამდენია კრეფის ნორმა? — შეეკითხა სამმართველოს უფროსი:

— 30 კილოგრამი.

— თქვენს პირობებში, — განაგრძო სამმართველოს უფროსმა, — კრეფის ნორმა გადასასინჯია.

— ამას მოვაგვარებთ, — თქვა მანვე და უბის წიგნაკში ჩაინიშნა.

საუბრებში ისიც გამოირკვა, რომ მეჩაიეთა საყოფაცხოვრებო პირობებიც ცუდია. ადგილზე არ აკეთებენ ცხელ საჭმელს, წყალი მეჩაიეებს ღილით წამოსვლისას მოაქვთ ბოთლებით. მთელი დღე განა ეს ეყოფათ?

არავინ დაინტერესებულა წყალი კასრებით მაინც მოეზიდათ. ამ საკითხების სასწრაფოდ მოგვარება აღუთქვა მეჩაიეებს სამმართველოს უფროსმა.

— დიდი ხანია აგრონომად ვმუშაობ, — თქვა ინსპექტორ-ორგანიზატორმა წალენჯიხის რაიონში იონა ლუკავამ, — მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა დაშორებული იყო უშუალოდ წარმოებას. ახლა ალარ არის სასხდომი ფუსფუსი, ქაღალდების კორიანტელი. რაიონის ექვს კოლმეურნეობასა და ერთ საბჭოთა მეურნეობას ვემსახურები. ყოველდღიურად ვიცი სად რა ხდება, ვის რა დახმარება ესაჭიროება. მუშაობის დაწყების პირველ დღეებში საფუძვლიანად გავეცანი კოლმეურნეობების ეკონომიკას, ბრიგადების, რგოლების მუშაობას, შრომის ორგანიზაციის საკითხს. უფრო ხშირად იქ ვიმყოფები, სადაც სუსტი მხარეა, ჩამორჩენაა. ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კრეფის მთელი შესაძლებლობა არ იყო გამოყენებული, ეს საკითხი შევისწავლე და ადგილზეეე გამოვასწორეთ. აპრილში პლანტაციებში აზოტის პირველი დოზის შეტანა გვიანდებოდა, სასუქების შემოზიდვაც არადამაკმაყოფილებელი იყო. ეს საკითხი დავაყენე საწარმოო სამმართველოს წინაშე და მდგომარეობა გამოსწორდა.

ყველაზე დიდი კოლმეურნეობა სოფელ ორ

საბჭოთა კავშირის მტკიცე გაფრთხილება

საზღვარგარეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

საბჭოთა მთავრობის განცხადებას დიდ სიმაღლეზე ამერიკის ატომურ აფეთქებათა შესახებ ფართო კომენტარს უკეთებენ საზღვარგარეთ.

„საბჭოთა კავშირის გაფრთხილება ამერიკის მთავრობისადმი“ — ასეთი სათაურით უნგრულმა გაზეთმა „ეშტი ხირლაპმა“ მოათავსა საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარსი. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა, ხაზს უსვამს გაზეთი, იგი ამით მთელ პასუხისმგებლობას იკისრებს საერთაშორისო ვითარების სერიოზული გართულებისათვის.

საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარსი არაერთხელ გადასცა უნგრეთის რადიომ.

რუმინელი მეცნიერები, ისე როგორც მთელი რუმინელი ხალხი, კატეგორიულად გმობენ ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებას განახორციელოს დიდ სიმაღლეზე ატომური აფეთქებანი, განაცხადა საკდესის, „პრავდისა“ და „იზვესტიის“ კორესპონდენტებისადმი ინტერვიუში გამოჩენილმა რუმინელმა მეცნიერმა ფიზიკოსმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის აკადემიის ატომური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ხორია ხულუბეიმ. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს განახორციელოს აფეთქებანი იმ მომენტში, როცა ხალხებს განსაკუთრებით ძლიერ სურთ დაუყოვნებლივ გადაიჭრას განიარაღების პრობლემა, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამანადგურებელი თერმოატომური ომი.

როგორც ატომური ფიზიკის დარგში მომუშავე მეცნიერი, განაგრძო აკადემიკოსმა ხულუბეიმ, მე უაღრესად მტკიცე პროტესტს ვაცხადებ კენედის მთავრობის ამ ნაბიჯის წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვეს სიცოცხლისათვის ჩვენს პლანეტაზე.

სულით და გულით მივესალმები და ვუერთდები საბჭოთა მთავრობის განცხადებას ამ ექსპერიმენტების გამო, რომელშიც სერიოზული გაფრთხილება ეძლევა ამერიკის აგრესიულ წრეებს.

ამერიკის მხედრიონის ანტიჰუმანურ გადაწყვეტილებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. მეგატონური ბომბების აფეთქებანი დიდ სიმაღლეზე გამოიწვევენ რადიოაქტიურობის მკვეთრად გადიდებას, დიდ გართულებებს კოსმოსურ სივრცეთა შესწავლაში. ისინი გამოიწვევენ დიდ გართულებებს რადიოკავშირის, რადიოასტრონომიული კვლევის დარგში. ხანგრძლივი დროით დაბრკოლდება კოსმონავტების გაფრენა. ყოველივე ეს სერიოზულად გააუარესებს წყნარ ოკეანეში ამერიკის აფეთქებათა შედეგად ისედაც დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობას.

ეჭვი არ არის, რომ მშვიდობისმოყვარე ქვეყნები იძულებული იქნებიან მიიღონ ღონისძიებანი თავის დასაცავად და დედამიწაზე მშვიდობის დასაცავად.

„ამერიკის წყალბადის ბომბი დაღუპვაა კოსმონავტებისათვის“, — წერს იტალიური გაზეთი „უნიტა“ მთელ გვერდზე გაჭიმულ სათაურში. „არაფრით არ შეიძლება ამერიკის გადაწყვეტილების გამართლება“, — აღნიშნავს „უნიტა“. გაზეთი წერს: „ყველაზე საოცარი მხარე ამერიკის გადაწყვეტილებისა დიდი სიმძლავრის წყალბადის ბომბების რამდენიმე აფეთქების განხორციელების შესახებ დიდ სიმაღლეზე — გადაწყვეტილებისა, რომელიც მკაცრად გაკრიტიკებულია საბჭოთა მთავრობის კარგად დასაბუთებულ განცხადებაში — ეს არის კოსმოსური ერის დაწყებიდანვე შეერთებული შტატების მმართველ წრეებში დასახული ტენდენცია ყველა შესაძლო საშუალებით გამოიყენონ ახალი იარაღი, ისე, რომ ანგარიში არ გაუწიონ სხვა ხალხების კანონიერ ინტერესებს“.

მეორე იტალიური გაზეთი „პოპოლო“ აქვეყნებს ციტატებს საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან, რომლებშიც აღნიშნულია ვან ალენის სარტყლის რაიონში აფეთქებათა სერიოზული შედეგები ადამიანთა სიცოცხლისა და ასტრონავტების ფრენისათვის.

დანიის გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ ათავსებს საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარსს. სრულიად დანიის ატომური იარაღის წინააღმდეგ მებრძოლმა ორგანიზაციამ კოპენჰაგენში მოაწყო 24-საათიანი საპროტესტო დემონსტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ დაიწყოს დიდ სიმაღლეზე ატომურ აფეთქებათა სერია. დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მიტინგი.

ათენის ყველა გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მთავრობის განცხადებას. საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავი შეიკავოს ატომური გამოცდებისაგან დიდ სიმაღლეზე და გააფრთხილა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ზარალისათვის, რომლებსაც ეს გამოცდები მიაყენებენ სხვა ხალხებს, წერს გაზეთი „მესიმერინი“. საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი „ნეა“, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ატმოსფეროს ზედა ფენებში ატომურ გამოცდებთან დაკავშირებით დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საერთაშორისო ვითარების სერიოზულად გაუარესებისათვის. საბჭოთა კავშირი იძულებული გახდება მიიღოს საჭირო ღონისძიებანი თავისი უშიშროებისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უშიშროების უზრუნველსაყოფად. საბჭოთა კავშირის განცხადება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყურადღებას მიაპყრობს საფრთხეს, რასაც ქმნიან ატომური გამოცდები, რომლებსაც საშინელი შედეგები მოჰყვება მთელი კაცობრიობისათვის. გაზეთს მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადება არის მოწოდება გონიერებისადმი.

4 ივნისი. (საკდესი).

ერროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაისაჯონ ფაშისტი მკვლელები

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). პარიზის მუშათა გარეუბანში სენ-დენიში ფაშისტმა ავაზაკებმა ავტომატი დაუშინეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ადგილობრივი ორგანიზაციისა და გაზეთის შენობას.

ფრანგი დემოკრატები, რომლებმაც გამოცდილებით იციან, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა იქონიონ, არც ერთ ფაშისტურ გამოხდომას არ ტოვებენ უპასუხოდ. „დაბეჭრეთ სალანი და ჟუო!“, „ოას-ი მკვლელთა ბანდა!“, „ანტიფაშისტთა ერთობა!“ — ასეთი ლოზუნგებით გამოვიდა სენ-დენის ორი ათასამდე რესპუბლიკელი მუშათა გარეუბნის ქუჩებში.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის მელითონელთა ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა საფრანგეთის პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამს საფრანგეთის ხელისუფალთა წყარუნების გამო.

„პანამა პატრონია არხის ზონაში, და ჩვენ დავამტკიცებთ ამას!“, „პროგრესისათვის კავშირი ეუსპლოატაციის კვამლსაფარია!“, „ძირს იანკები!“ — ამ ლოზუნგებს ხშირად ნახავთ პანამის ქუჩებში.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა პანამა თავიანთ სამფლობელოდ გადააქციეს. „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ ბრძანებით ეროვნული გვარდია მძლავრი ტრაქტორების დახმარებით ანგრევს გლეხთა სახლებს და სპობს ნათესებს. კომპანიას გლეხთა ეს მიწები „პლანტაციების მომავალი გაფართოების რეზერვად“ მიაჩნია. მარტო ერთი თვის განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკის კომპანიამ, პანამის არხს რომ მართავს, მიიღო მოგება, რომელიც ოთხჯერ აღემატება იმ თანხას, რასაც იგი პანამის მთავრობას წელიწადში უხდის არხის ზონის იჯარად.

ხალხის პროტესტების ტალღამ აიძულა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, რომლებიც განლაგებული არიან არხის ზონაში, მავთულხლართის ზღუდეები აეშენებინათ იქ. მაგრამ, მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, მშრომელთა დემონსტრაციები გრძელდება.

კუბის გაზეთ „რევოლუსიონიდან“ ამოღებულ ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ, როგორ ერეკება ამერიკის სამხედრო პოლიცია მშრომელთა დემონსტრაციას.

ამერიკის ჯარებს ლაოსში გზავნიან

ჯენოი, 4 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება: ამერიკის ჯარები, რომლებიც ტაილანდში გადასხდნენ შუა მაისს, ლაოსს გაიგზავნა და განლაგდნენ ხაი-აის აეროდრომზე ჩრდილო-დასავლეთ ლაოსში.

ეს ფაქტი აბათილებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებას, თითქოს ამერიკის ჯარები ტაილანდში რჩებოდნენ და არ გადაჰყავდეთ ლაოსში.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ხეეი-საიდან იუწყება 1 ივნისს, რომ ამერიკის ჯარებში, რომელთა რიცხვი ზუსტად ცნობილი არ არის, შედიან ოკინავის 1-ლი სპეციალური სადივერსიო-სადესანტო რაზმის ჯარისკაცები.

ბანგკოკი, 5 ივნისი. (საკდესი). შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი სეატოს სამხედრო ბლოკში კვლავ თავს უყრიან შეიარაღებულ ძალებს ტაილანდ-ლაოსის საზღვრის გასწვრივ და საბრძოლო ტექნიკით აიარაღებენ მათ, აშკარად ემზადებიან ჯუნგლში ომისათვის. როგორც აღგილობრივი პრესა იუწყება, საკურორტო ქალაქი პატაიაბიჩი, რომელიც მდებარეობს 150 კილომეტრზე ბანგკოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადაქცეულია სამხედრო ნავსადგურად, სადაც ამერიკის სადესანტო ხომალდებს ყოველდღე გადაჰყავთ ჯარები და გადაიქცევ საბრძოლო ტექნიკა. ეს ჯარები შემდეგ იგზავნება კორატში, უდონსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის სხვა პუნქტებში, სადაც უკვე განლაგებულია საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონი, 27-ე ქვეითი პოლკის საბრძოლო ჯგუფი, საზღვაო ქვეითი ჯარის პირველი საავიაციო ფრთა, ზურგის სარდლობა და ამერიკელთა სხვა ქვეგანყოფები.

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ჰონოლულუდან იუწყება, ამერიკის არმიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაიწყო 25-ე დივიზიის საველე არტილერიის მე-8 პოლკის ჯარისკაცთა გადაყვანა ტაილანდში. ისინი ბანგკოკში გადაჰყავთ „ალბამასტერის“ ტიპის 14 თვითმფრინავით.

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბანგკოკიდან იუწყება, სინგაპურიდან იქ ჩავიდა ინგლისის 4 რეაქტიული ავიაგამანადგურებელი „ჰანტერი“, ინგლისის 6 ავიაგამანადგურებელი ჩავიდა წინათ.

ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში

რიო-დე-ჟანეირო, 5 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი მ. არტიუშენკოვი იუწყება:

ნახევარი მილიონი ბრაზილიელი გაეცნო საბჭოთა კავშირის გრანდიოზულ წარმატებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, როცა დათვალიერა საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა რიო-დე-ჟანეიროში. ერთი თვის განმავლობაში — 3 მაისიდან 3 ივნისამდე — მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები, სახელმწიფო მოღვაწეები, მრეწველები, ვაჭრები, მუშები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია, სტუდენტები მიდიოდნენ საბჭოთა გამოფენაზე. გამოფენამ ხელი შეუწყო ორი დიდი ხალხის დაახლოებას, სსრ კავშირისა და ბრაზილიის ეროვნული და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. გამოფენა დათვალიერეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟოაო გულარტმა, პრემიერ-მინისტრმა ტანკრედო ნევესმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სანტიაგო დანტასმა და სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებმა. საერთაშორისო გამოფენის პავილიონში საოკრისტობალში, სადაც განლაგებულია გამოფენა, ყოველდღე ჩადიოდნენ წარმომადგენლები ბრაზილიის ყველა კუთხიდან.

აქ იყვნენ არგენტინის, ჩილის, ბოლივიის, ვენესუელისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. რეაქციამ სცადა დაეშინებინა ბრაზილიელები და ჩაეშალა გამოფენა. მაგრამ ვერავითარმა მისმა ხრიკმა ვერ შეაჩერა ადამიანთა ნაკადი გამოფენისაკენ.

რეაქციულმა ძალებმა ვერ დაარღვიეს გამოფენის მუშობის ნორმალური რიტმი ვერც პროვოკაციით — ასაფეთქებელი ნივთიერების პაკეტის შეგდებით გამოფენაზე, რაც აღმოაჩინეს და მოაშორეს იქიდან საბჭოთა ადამიანებმა, ვერც ზოგიერთი გაზეთის გააფთრებული იერიშით, ვერც ნაღმების სროლით საბჭოთა ატაკერლისათვის, რომელაც საქმიან ადამიანებს უჩვენებდნენ რიო-დე-ჟანეიროს ტბაზე. ჩაფუშა საბჭოთა კავშირის მტრების ეს უბადრუკი ცდები. ხალხმა გადაჭრით დაგმო ისინი. ხალხი მიდიოდა გამოფენაზე. ბრაზილიის ფედერალურმა ხელისუფლებამ ყოველი ღონე იხმარეს მისი ნორმალური მუშაობისათვის. მეტი წილი ბრაზილიელებისათვის გამოფენა პირველი კონტაქტი იყო საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა ხალხის შრომისა და აზრის ნაყოფთან. გამოფენამ წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა მათ.

ყველა ასაკისა და სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის მრავალმა ათეულ ათასობით უბრალო ადამიანმა შთაბეჭდილებები ჩაიწერეს „გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და ხალხს საუცხოო გამოფენისათვის. მათ აღტაცება გამოთქვეს საბჭოთა კავშირის საგმირო საქმეთა გრანდიოზულობის გამო, რომლებიც ასახულია გამოფენაზე, განცვიფრება გამოთქვეს ნახულის გამო, გამოთქვეს სურვილი — განმტკიცდეს მეგობრობა საბჭოთა ხალხთან.

საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენამ დიდი საქმე გააკეთა ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის. გამოფენის მუშაობის ღონის მჭიდრო კონტაქტი დამყარდა საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებისა და ბრაზილიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის, დაიდო კომერციული გარიგებანი 25 მილიონ დოლარი თანხისა. ბრაზილიელებმა თავი გამოიჩინეს როგორც სტუმართმოყვარე, ცოდნისმოყვარე ხალხმა.

ტელეგრამა გვატყობინებს

☐ **მონღოლეთის** სახალხო რესპუბლიკის სახალხო ჯარების საქმეთა სამინისტროს მიწვეული ულან-ბატორს ჩავიდა ლაოსის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას ლაოსის უმაღლესი სამხედრო სბჭოს თავმჯდომარე გენერალი კონგ ლე.

☐ **2 ივნისს** პოლონეთის საელჩოს ეზოში საფრანგეთში აფეთქდა პლასტიკური ბომბი, რომელიც ოას-ელებმა ჩააგდეს იქ. საელჩოს შენობაში და მეზობელ სახლებში აფეთქებამ ფანჯრები ჩაამსხვრია. საელჩომ მტკიცე პროტესტი განუცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

☐ **ინგლისის** პრემიერ-მინისტრი მაკმილანი ლონდონს დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა პრეზიდენტ დე გოლთან.

☐ **საფრანგეთის** მთავრობა ამზადებს ცემენტისა და ფოლადის ფასების გადიდებას. ამ გადიდების შედეგად მონოპოლიები დამატებით მიიღებენ მოგებას, რაც ათეული მილიარდი ძველი ფრანკით განიზომება.

☐ **ამერიკელი** სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც კვირაობით ტოკიოში ჩადიან, ახალ-ახალ „გართობას იგონებენ“. იაპონელებისათვის წმიდათა წმიდა ადგილში — იმპერატორის სასახლის არხში აღმოაჩინეს ოთხი მთვრალი ამერიკელი ჯარისკაცი, ისინი მანამდე ცურავდნენ, სანამ პოლიციამ არ შეიპყრო. (საკდესი).

ამერიკელ ჯარისკაცთა ტერორი

ბანგკოკი, 5 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის ინფორმაციის ბიურო იუწყება: ამერიკელ ჯარისკაცებს ტაილანდში ადგილობრივ ბოროტმოქმედებად ექცევიან. ეს ფაქტი ადასტურებს ამერიკელ ჯარისკაცთა ბოროტმოქმედებანი ინდოეთის ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის მახლობლად. ინდოელ ჯარისკაცებს ეკრძალებოდა ამ ადგილებში ყოფნა. ინდოეთის ინფორმაციის ბიურო ამბობს, ეს ფაქტი ადასტურებს, ამერიკელ ჯარისკაცთა ბოროტმოქმედებანი ინდოეთ-ჩინეთის საზღვრის მახლობლად ინდოეთ-ჩინეთ-ინდონეზიის ინფორმაციის ბიურო ამბობს, ეს ფაქტი ადასტურებს, ამერიკელ ჯარისკაცთა ბოროტმოქმედებანი

ახალი ამბები

პიონერები კაცხის სვეტზე

ზიანთარა. (საკ. კორ.). ქალაქის დასავლეთით სოფელ კაცხში აღმართულია ცნობილი კაცხის სვეტი. სახელმოხვეჭილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი კაცხის სვეტის შესახებ წერს: „...ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ითარცა სვეტი, ფრიად ძაღლი. ძის კლდის თხემზე არს ეკლესია მცირე, არაფერ ვერარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა...“

მაგრამ ეს სვეტი დაიპყრეს. კაცხის სვეტზე პირველმა დაადგა ფეხი სახელგანთქმულმა ქართველმა მთამსვლელმა ქიაოურის მკვიდრმა ალექსანდრე ჯაფარიძემ.

გავიდა წლები, და აი სულ ახლახან კაცხურის ხეობა ორასზე მეტი პიონერის მხიარულმა შეძახილებმა გამოაღვიძა. მათ შორის იყვნენ ნორჩი ალპინისტები, რომლებსაც ქალაქის ალპინისტურ-ტურისტული სექციის თავმჯდომარე, მაღაროელი გ. სამხარაძე ხელმძღვანელობს.

ახლა კაცხის სვეტს ნორჩმა ალპინისტებმა შეუტიეს. პირველთაგან სვეტზე პირველი ავიდა ალ. ჯაფარიძის ოჯახის წევრი, ალიოშა ჯაფარიძის ძმისწული ქეთინო ჯაფარიძე, რომელსაც მიჰყვნენ ნორჩი ალპინისტები მ. ბარგავაძე, ი. ქურცაძე, ვ. ქამუშაძე, ჯ. ბარათაშვილი, ა. ბიწაძე. მათ სვეტზე აღმართეს 40 წითელი დროშა, „კენინის ასოკინთან გამოკვეთილი წარწერა „40 წელი“ და წითელი ვარსკვლავი. ყველაფერი ეს პიონერებმა თავიანთ დღესასწაულს მიუძღვნეს.

ოკლედ ყველაფერზე

△ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). აქ გასტროლებს მართავს. შავი ზღვის ფლოტის დრამატული თეატრის კოლექტივი. თეატრმა ქუთაისელ მაყურებელს უჩვენა ლ. შეინინის დრამა „თამაში წესების გარეშე“, ს. ნარინიანის „სახიფათო ასაკი“, ა. შერვაშიძის „ბოვა კუბა“, ა. საღინსკის „მედოლე ქალი“ და სხვ.

შავი ზღვის ფლოტის თეატრის გასტროლები 10 ივნისამდე გასტანს.

△ **საჩხერე.** (საკ. კორ.). სოფელ ბორისაში, სადაც 120 წლის წინათ დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გ. წერეთელი, გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამსჭვალული სამეცნიერო სესია.

გ. წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა ქ. სიხარულიძემ, დოცენტებმა ა. გაჩეჩილაძემ და გ. აბზიანიძემ.

△ **ყვარელი.** (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში გაიხსნა ორსართულიანი რესტორანი „ყვარელი“. პირველ სართულზე მოთავსებულია კაფე და ნახევარფაბრიკატების მაღაზია, მეორე სართულზე კი სასადილო და საბანკეტო დარბაზი. რესტორანს აქვს ქართული პურის საცხობი და საშაჭარლამო ნაწარმის დამამზადებელი საამქრო.

„აგიტატორის გლოკნოტი“ № 11

გამოვიდა ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 11. მასში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები: **რ. მეტრეველი** — „საბჭოთა ახალგაზრდობის დღე“, **ბ. ასანიძე** — ჩოს პლახტაცაგზები ჩქეფს საგიტაციო მუშაობა“; **ვ. ფეიოძე** — საზოგადოებრივ საწყისებზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვნებისათვის“; **გ. გოჩიტაშვილი** — „აგიტატორი ზრუნავს მეცხოველეობის განვითარებისათვის“; **თ. ლობჟანიძე** — „საბელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი“ და სხვ.

ქერმონი — თენგიზ ზეინკლიშვილი

4 ივნისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კომპოზიტორ ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ ქერმონის პარტიას პირველად მღეროდა ახალგაზრდა მომღერალი თ. ზეინკლიშვილი.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დიმიტრი მჭედლიძემ თქვა:

— ეოკალურად რთული და ღრმად ფსიქოლოგიურია ქერმონის პარტია. ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომლითაც მუსიკალური საზოგადოება მოელოდა თ. ზეინკლიშვილის გამოსვლას ამ პარტიაში. თ. ზეინკლიშვილს ლამაზი ტემბრის ბარიტონი აქვს. მისი ხმა თანბრად ყღერს მაღალ და დაბალ რეგისტრებში. კარგ ტექნიკასთან ერთად ახალგაზრდა მსახიობს არც სცენური ოსტატობა აკლია.

ქერმონის პარტია მომღერლისაგან სწორედ სცენურ ოსტატობასთან შერწყმულ ტექნიკას მოითხოვს...

თ. ზეინკლიშვილმა პირადად ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო არია მეორე მოქმედებაში და ფინალი.

დასასრულ დ. მჭედლიძემ თქვა: მომღერლისათვის მარტო ეოკალური ნიჭი როდი კმარა. ნიჭს ყოველდღიური სრულყოფა, დახვეწა სჭირდება. ერთი სიტყვით, თუ ახალგაზრდა ხელოვნების რთულ გზაზე გამოსვლას ფიქრობს, მხოლოდ და მხოლოდ დიდი შრომითა და მეცადინეობით მოახერხებს ამას. ეჰვი არ მეპარება, თენგიზ ზეინკლიშვილი გაამართლებს თავისი კოლექტივის იმედს.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ტრავიატა“. ქერმონი — თენგიზ ზეინკლიშვილი, ვიოლეტა — ტ. ჭანტურია.

ფოტო ბ. დადვაძისა.

დახრჩოგას გადაარჩინა

სოფელ არალის საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე თამაზ თათეშვილი ამხანაგებთან ერთად მდინარე ქობლიანის პირას თამაშობდა. ბავშვს ნაპირზე ფეხი დაუსხლტა და ადიდებულ წყალში ჩავარდა.

ბავშვებისა და მოხუც ილია ტატალაშვილის ყვირილი მოესმა თანასოფლელ მიხა თათეშვილს, რომელიც იქვე ახლოს, საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობდა. გაბედული ადამიანი მყისვე შემოხვევის ადგილას გაჩნდა და ამობოძრებულ მდინარეში გადაეშვა. მალე ტალღებს გამოსტაცა და ნაპირზე გამოიყვანა პატარა თამაზი.

თავგანწირულმა ადამიანმა პატარა თამაზის მშობლებისა და სოფელ არალის მშრომელთა მადლობა დიმსახურა.

ს. აკოფაშვილი.

რუმინეთი იწვევს

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ქართული ფუტკრის საჯიშე მეურნეობაში (ხელმძღვანელი ვ. ტაბატაძე) გამოყვანილი ქართული ფუტკრის საჯიშე დედები და ამანათნაყრები ჩვენი საშშობლოს სხვადასხვა კუთხეში და სოციალისტურ ქვეყნებში იგზავნება.

შარშან ვ. ტაბატაძე მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაეცნო და დაუმეგობრდა რუმინელ მეფუტკრეს პროფესორ ხარნაკს.

ახლახან ორჯონიკიძეში ვ. ტაბატაძის სახელზე რუმინეთიდან ბარათი მოვიდა. რუმინელი პროფესორი ხარნაკი იტყობინება, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში რუმინეთის მეფუტკრეობის ასოციაცია და ტურისტთა ბაზა აწყობენ მეფუტკრეთა საერთაშორისო შეხვედრას, სადაც მიწვეულია ქართველი მეფუტკრე ამხ. ვ. ტაბატაძე.

ურუგვაელებს დოლარებს ჰპირდებიან

თბილისი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

შორეული ჩილის პატარა ქალაქი არიკა გამოირჩევა თავისი კლიმატური პირობებით; ქართან ერთად აქ იცის ნისლი, დგას ბურუსი. მაგრამ ჩვენ გვინდა შევეხოთ არა ბუნების თავისებურებას, არამედ იმ ბურუსს და ნისლს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის არიკის ჯგუფში შეიქმნა. თვალი გადავავლოთ განვლილ შეხვედრათა ცხრილს. მართლაც რომ ნამდვილად ბურუსია. უკანასკნელი ტურის წინ ოთხივე გუნდს მეოთხედფინალში გასვლის შანსები აქვს. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სსრ კავშირის გუნდისა და აუტსაიდერის — კოლუმბიის გუნდის ფრე.

და მართლაც ჩილის გაზეთებში შეხვდებით ასეთ ანშლაგებს: „განუმეორებელი სიურპრიზი“, „ჩემპიონატის საოცრება“, „დრამატული ფინალი“ და სხვ. მართლაც, კოლუმბიის გუნდს ბევრი, მათ შორის ჩვენი ფეხბურთელები, არ იცნობდა. მათ იცოდნენ მხოლოდ ერთი, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე მწვრთნელმა ადოლფო პედერნერამ მოწინააღმდეგეს აუწყა, რომ მას განზრახული არა აქვს ქულებით მოამარაგოს ვინმე. ისიც აღსანიშნავია, რომ ტრავმის გამო კოლუმბიელებს ამ მატჩში წამყვანი ფორვარდები ზუარაუგასი და კოლუმბიელი „პელე“ — გამბოა აკლდათ. უკანასკნელმა მატჩმა ურუგვაელებთან უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ნაკრების ბედი. მხოლოდ გამარჯვებაა საჭირო. მაგრამ ურუგვაელები ამ შეხვედრას მეტად პრინციპულად თვლიან და მას იოლად როდი დათმობენ. მოგების შემთხვევაში ჩვენი გუნდი მეოთხედფინალში თავისი ჯგუფიდან პირველ ნომრად გადის და არიკაში უნდა შეხვდეს გერმანიის ან იტალიის გუნდებს. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში მეოთხედფინალში გავდივართ, მაგრამ ადგილების განაწილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარიშს როგორც ჩვენსა და ურუგვაელებს შორის, ისე იუგოსლავია-კოლუმბიას შორისაც. თუ საქმე ფრეზე მიდგა, უკეთესია 0:0, ვიდრე 1:1, ხოლო 2:2 შეიძლება გაფუჭოს საქმე. იუგოსლავიელების გამარჯვება 2:0 ან 3:1 გამოიწვევს ბურთების შეფარდებას მათ სასარგებლოდ. მაშინ სამბოთა გუნდი მე-2 ადგილზე გამოვა და მას სანტ-იაგოში მოუხდება წასვლა ჩილის გუნდთან სათამაშოდ. რაც შეეხება წაგებას, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მონტევიდეოში და მოსკოვში დამარცხების შემდეგ ურუგვაელები რევანშის წყურვილით მოელიან' მატჩს სამბოთა ნაკრებთან, ამასთან გამარჯვების შემთხვევაში ისინი თვითეულ ფეხბურთელს ათას დოლარს ჰპირდებიან.

ვნახოთ! როგორც იტყვიან, ჰა ბურთი, ჰა მოედანი.

საერთოდ 16 კოლექტივიდან მხოლოდ ჩილისა და უნგრეთის გუნდებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. ფაქტიურად მათ უზრუნველყოფილი აქვთ მეოთხედფინალში გასვლა. მასპინძლებს შეუძლიათ უკანასკნელი მატჩის წაგებაც კი, მაგრამ ახეთ შემთხვევაში შეიძლება მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ და არიკაში გამგზავრება მოუხდეთ, რაც მათთვის სასურველი არ არის. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ უკანასკნელ მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის წინააღმდეგ ჩილელებს გეგმაში ექნებათ ან მოგება ან ფრე. აღსანიშნავია, რომ ფრე ხელსაყრელია გერმანელებისთვისაც. იგი მათ მეოთხედფინალში მოხვედრის უფლებას აძლევს.

ასე რომ ისე სანტ-იაგოს ჯგუფში უნდა ველოდოთ ჩილისა და გერმანიის მეტია. მონტევიდეოში და მოსკოვში დამარცხების შემდეგ ურუგვაელები რევანშის წყურვილით მოელიან' მატჩს სამბოთა ნაკრებთან, ამასთან გამარჯვების შემთხვევაში ისინი თვითეულ ფეხბურთელს ათას დოლარს ჰპირდებიან.

ვნახოთ! როგორც იტყვიან, ჰა ბურთი, ჰა მოედანი.

საერთოდ 16 კოლექტივიდან მხოლოდ ჩილისა და უნგრეთის გუნდებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. ფაქტიურად მათ ფედერაციული რესპუბლიკების გამარჯვებას.

უნგრეთის გუნდზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. 4 ქულით იგი ლიდერია რანკაგუას ჯგუფში, ამასთანავე გასულია მეოთხედფინალში. მეორე ადგილის პრეტენდენტები არიან ინგლისი და არგენტინა. უკანასკნელ ტურში პირველი ხვდება ბულგარეთს, მეორე—უნგრეთს. შესაძლებელია სამმა კოლექტივმა 4-4 ქულა დააგროვოს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ უნგრელებს ბურთების უკეთესი შეფარდება ექნებათ.

მესამე ჯგუფში ლიდერობენ ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომლებსაც სამ-სამი ქულა აქვთ. მექსიკელები განწირული არიან, სამაგიეროდ ესპანელებს, რომელნი არ დაუმარცხიათ, ბრაზილიელებთან ან ჩეხოსლოვაკელებთან შემთხვევაში ისინი მიზანს მიაღწევენ, ჩეხოსლოვაკიას კი მატჩი ექნება მექსიკასთან და, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩეხების წარმატება უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ესპანელებისა ბრაზილიელებთან შეხვედრაში. ამ ჯგუფში არსებობს რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ყველაზე მოსალოდნელი მაინც ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების გამარჯვებაა.

დღეს იწყება მესამე და გადამწყვეტი ტური. ვნახოთ, რას მოგვიტანს იგი.

მ. მერჭანოვი.

არიკა, 5 ივნისი.

დღეს ჩილიში

დღეს ჩილის სტადიონებზე გაიმართება მეოთხე ტურის მორიგი მატჩები მსოფლიო კიბეველობაზე. ერთმანეთს შეხვდებიან:

არიკაში: ურუგვაი-სსრ კავშირი.

სანტ-იაგოში: ჩილი-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;

ვინია-დელ-მარში: ბრაზილია-ესპანეთი;

რანკაგუაში: არგენტინა-უნგრეთი.

ფიქრები ჩილის ჩემპიონატზე

დამსახურებული ჯილდო

სსრ კავშირის სპორტული საზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირს მესამეჯერ მიანიჭა გარდამავალი წითელი დროშა.

გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებული არიან აგრეთვე ქალაქი ქუთაისი და რესპუბლიკური სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე“.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ სპორტული კლუბები „პობედა“, „სინათლე“, „ფეიერი“, „კოლხიდა“, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის, ბათუმის, გემთსამშენებლო ქარხნის, თბილისის საელმავლო დეპოს, მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის, ავჭალის მინის ქარხნის, თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკის — სულ 21 საწარმოს ფიზკულტურის კოლექტივები.

სპორტული ქრონიკა

საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ტრუსენიოვმა ლენინგრადში გამართულ ძალოსნურ შეჯიბრებაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან ბადრო 61 მეტრსა და 64 სანტიმეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი 54 სანტიმეტრით აღემატება ძველ მსოფლიო რეკორდს, რომელიც ამერიკელ სპორტსმენს ა. ორტერს ეკუთვნოდა.

ბულგარელი პარაშუტისტი ს. კალუჯიევი ზამით 14 ათასი მეტრი სიმაღლიდან გადმოხტა და იმ წუთსვე გაშალა პარაშუტი. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია.

იტალიის ქალაქ კომოში დამთავრდა მოფარიკავე ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ვერცხლის რაპირის“ პრიზზე. პრიზი მოიპოვა იტალიელმა სპორტსმენმა ანტონელა რანიომ. საბჭოთა მოფარიკავე ვალენტინა პრუდსკოვა, რომელიც „ვერცხლის რაპირის“ მფლობელი იყო 1960 წელს, მეორე ადგილზე გამოვიდა.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 87-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1962 წლის 30 მაისს ქ. ჩელიაბინსკში.

მოგება ხვდა სესხის თექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000218	1—50	40	035437	1—50	40	064360	50*)	2.500
001210	1—50	100	035684	1—50	100	064864	11*)	1.000
001293	03*)	500	036583	1—50	40	064924	45*)	500
001701	04*)	500	037563	1—50	100	065224	22*)	1.000
002549	1—50	40	037881	1—50	40	066464	09*)	500
004217	44*)	500	038127	1—50	40	066484	36*)	500
004259	21*)	500	038289	1—50	100	067065	17*)	500
005037	04*)	500	038761	25*)	500	068370	41*)	500
005675	47*)	500	039001	1—50	40	069843	48*)	500
006667	13*)	1.000	039517	27*)	2.500	070593	37*)	500
007089	1—50	100	039627	43*)	1.000	070623	16*)	500
007285	35*)	500	039636	20*)	500	071087	17*)	500
008119	1—50	40	040031	1—50	40	071107	1—50	40
008610	49*)	1.000	040119	08*)	500	071625	44*)	500
009490	04*)	1.000	042138	35*)	500	072439	1—50	40
009589	1—50	40	042376	31*)	1.000	072489	01*)	500
009915	1—50	40	043900	20*)	500	073523	44*)	1.000
010989	28*)	500	044203	1—50	40	073795	31*)	500
011871	04*)	500	046012	26*)	500	074987	02*)	1.000
012493	37*)	500	046110	43*)	500	075265	32*)	500
014629	26*)	500	046457	12*)	500	076417	34*)	500
014895	11*)	500	047614	33*)	1.000	076762	15*)	500
016262	38*)	5.000	047627	32*)	500	076844	1—50	100
016344	1—50	40	047653	38*)	1.000	076885	27*)	500
017588	1—50	40	047712	40*)	500	077437	04*)	500
017933	16*)	500	047758	1—50	100	078556	12*)	500
018127	01*)	500	049338	1—50	100	078990	1—50	40
018519	31*)	2.500	050553	1—50	40	079120	1—50	40
018823	06*)	500	050665	39*)	500	079654	45*)	500
020148	1—50	40	051045	07*)	1.000	079691	23*)	500
020463	1—50	40	051347	42*)	500	080290	25*)	500
021551	49*)	500	051700	18*)	500	080447	1—50	40
021566	10*)	500	052662	1—50	40	082070	18*)	500
021658	47*)	1.000	052779	29*)	500	083702	33*)	500
021865	06*)	1.000	053032	1—50	40	084023	1—50	40
025581	14*)	1.000	053159	13*)	500	084325	01*)	500
026114	31*)	500	053600	1—50	100	084776	03*)	500
026436	44*)	500	053880	10*)	1.000	087131	28*)	500
027393	49*)	1.000	054052	1—50	40	088148	1—50	100
027511	20*)	500	054389	1—50	40	088312	31*)	500
028235	1—50	40	054551	1—50	40	089622	17*)	500
028852	01*)	1.000	055753	18*)	500	089773	12*)	1.000
028854	49*)	2.500	056025	04*)	500	090392	03*)	500
029138	43*)	500	056158	1—50	40	091332	1—50	40
030192	1—50	100	056432	38*)	500	091449	1—50	40
030596	1—50	40	057921	1—50	40	092909	1—50	100
030921	07*)	1.000	058189	36*)	500	093480	12*)	500
031103	22*)	500	058742	41*)	1.000	094144	1—50	40
031698	1—50	40	059078	01*)	5.000	094612	1—50	40
031788	03*)	1.000	059348	44*)	500	094919	1—50	40
032013	34*)	1.000	060166	1—50	40	095032	14*)	1.000
032652	35*)	500	060351	02*)	500	095520	29*)	500
033079	1—50	40	060831	1—50	100	096983	1—50	40
033509	1—50	100	062360	45*)	500	098589	22*)	500
034491	15*)	500	062860	1—50	40	099622	27*)	2.500
034863	1—50	40	063408	31*)	500	099686	1—50	40
034900	31*)	500	063620	28*)	1.000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც შემახვეული სალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე ჩელიაბინსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ვერზილოვი,

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

თეატრები

6 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — I. ჯამბაზები, II. სოფლის პატიოსნება (მე-18 აბონ. მე-10 სპექტ.), **რუსთაველის სახელობის** — ქუთათელის პიონერი“, **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა, **სახელოვნების** — მე მჯერა შენი (აბონემენტი № 1), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩიკორი (აბონ. № 45, 4 ს. აბონ. № 38, 7 ს.).

ტელევიზია

6 ივნისი

18.00 — ფეხბურთში საერთაშორისო ამხანაგური მატჩის რეპორტაჟი „ბურევესტნიკის“ სტადიონიდან, 19.45 — მოსწავლეთათვის — „ხვალ მათემატიკაში წერითი გამოცდა“, 20.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის ციკლიდან „შეისწავლე შენი მხარე“, 20.20 — კინოჟურნალი, 20.30 — კონცერტი. შესვენების დროს — ახალი ამბები.

კინო

6 ივნისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი,** ისანი (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი და მწვანე დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო) — როკო და მისი ძმები (I და II სერია).

რადიო

7 ივნისი

პირველი პროგრამით

08.30 — მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მუსიკა, 09.20 — კაერული მუსიკა, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — კოხცერტი, 11.00 — გადაცემა — „ლაპარაკობს სოხუმი“, 11.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები, 12.15 — ა. შავერდაშვილის სიმღერები, 12.45 — ფრაგმენტები გლიერის ბალეტიდან, 13.40 — ი. ფუნაკოვი. ნაწყვეტები ოპერეტიდან „პოლარული ვეებანი“, 17.20 — პიესები ხალხურ საკრავთა ანსამბლისათვის, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა ვაჟა-ფშაველას მოფხრობისა „ჩხიკვთა ქორწილი“, 18.05 — ქართული ხალხური სატრფიალო და საცეკვაო სიმღერები, 18.45 — გადაცემა ციკლიდან — „ბახის პრელუდები და ფუგები“, 19.15 — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტების კონცერტი. 19.45 — გადაცემა ციკლიდან „ჩვენი დღეების გმირები“, 20.20 — საუბარი — „ახალი ნაბიჯები“, 20.35 — ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“, 22.00 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

თბილისში, გუთნის ქუჩის დასაწყისში ყუროადღებას იქცევს აგურის გალავანშემორკმეული ბაღი. მიჰყვებით ტანყრილი ნაძვების ხეივანს, ეზოს სიღრმეში სამსართულიანი შენობა მოჩანს, რომელიც მთლიანად მწვანეშია ჩაფლული. ბაღის ერთი ნაწილი გადაღობილია. აქ რამდენიმე ადგილას მაგიდები დგას, სადაც გოგონები და ბიჭები სხედან. ისინი საუბრობენ, მსჯელობენ. ზოგს კიდევ წიგნები გადაუშლიათ და გაკვეთილებს ამზადებენ.

გაისმა ზარის წკრიალი.

— მარინე, წავიდეთ, — სწრაფად წამოდგა თეთრბაბთიანი გოგონა და თავის ამხანაგს ხელი მოჰკიდა. სხვებიც გაჰყვნენ, სკოლისაკენ გაეშურნენ. ხელის ოდნავი შეხებით ისინი ეძებენ კარს და დერეფანს მიჰყვებიან. აქ კი მათთვის ყველაფერი კარგად არის ცნობილი, სად რომელი კლასია, სად პიონერთა ოთახი თუ შრომის კაბინეტი.

ბავშვები ჩვეულებრივი ერიანულით დარბიან დერეფნებში, მაგრამ თუ დაადგარდებით, მათს მოძრაობას თავისებური ელფერი დაჰკრავს, რაღაც სიფრთხილე იგრძნობა. ხელის მოძრაობებიც ცდილობენ არ დაეტაკონ ერთმანეთს, არ დაეტაკონ კედელს, კიბეს. თუმცა რა გასაკვირველია, ეს ხომ უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატია.

რამდენიმე წუთიც, და დერეფანში სიწყნარეა.

...ერთი, ორი, ერთი, ორი, — გაისმის ფიზკულტურის დარბაზიდან. ბავშვები დარბაზს გარშემო უვლიან.

—თავი მაღლა ასწიეთ, გულმკერდი წინ წამოსწიეთ. ასე, გაბედულად... შეჩერდით!

— აბა, ბავშვებო, ახლა საავარჯიშო ბოძზე, ავცოცდეთ. ალა, გამოდი, ოლონდ ფრთხილად ადი. თითები არ დაიზიანო. გახსოვდეთ, რომ თითებია თქვენი იარაღი, თითებით წერთ და თითებით კითხულობთ, — არიგებდა მოსწავლეებს ივანე ქიბიყურაშვილი, რომელიც უკვე 25 წელია იმსახურება ბავშვთა აღზრდას.

— ჩვენი მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, — გვეუბნება მასწავლებელი, — ბავშვი, რომელსაც მხედველობა აკლია, თავს დაჩაგრულად გრძნობს და მორცხვი, თავჩაქინდრული დადის, სპორტული ვარჯიში ბავშვის ჯანმრთელობასაც უწყობს ხელს და ამავე დროს გაბედულ მოძრაობასაც აჩვევს.

როგორც შემდეგ გავიგე, ჩემი მოსაუბრისათვის ავადმყოფობას საგრძნობლად დაუზიანებია მხედველობა. თუმცა ამ სკოლაში რამდენიმე სრულიად უსინათლო პედაგოგი: იოსებ ჭიაურელი, გიორგი რევაზიშვილი, ანეტა ხუციშვილი, რუსუდან ლილუაშვილი. ოვით სკოლის საწავლო ნაწილის გამგე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მიხეილ მანტკავაც ხომ უსინათლოა. იგი დიდი სამამულო ომის ინვალიდია.

ვესაუბრები მიხეილს.

— როგორ სწავლობენ თქვენი ბავშვები, თუ აქვთ მათ სახელმძღვანელობები?

— ჩვენს სკოლაში ბრაილის შრიფტს ვიყენებთ, — გვეუბნება იგი, — სახელმძღვანელობებიც მთლიანად ამ შრიფტით არის აწყობილი. გამომცემლობა „ცოდნაში“ იბეჭდება უსინათლო ბავშვებისათვის ბრაილის სახელმძღვანელობები. ამ საქმეს ემსახურებიან ჩვენს სკოლაში აღზრდილი უსინათლო პოეტი ვახტანგ ძნელაძე და ელგუჯა კვანჭილაშვილი.

...ხრიბებზე საკმაოდ სქელტანიანი წიგნები აწყვია. ესენია ბრაილის ფილიფურ-წერტილოვანი სისტემით შექმნილი წიგნები.

ბავშვები იმარჯვებენ ბრაილის დაფას და ეგრეთწოდებული ბრაილის ფანქრით წერენ მარჯვნიდან მარცხნივ, წერისას ჩარჩოში სხვადასხვა წერტილებს აკეთებენ, რომლებიც რეელზე ამობეჭდილ ასოებს ანიშნებენ. ასეთ ნაბეჭდ ასოებს ბავშვები ხელით ეხებიან, ეცნობიან ასოებს, ეცნობიან ამ ასოებით გამოხატულ სიტყვებს, ეცნობიან ამ სიტყვებით გამოხატულ ფრაზებს, ეცნობიან ამ ფრაზებით გამოხატულ ფიქრებს, ეცნობიან ამ ფიქრებით გამოხატულ ადამიანურ ურთიერთობებს, ეცნობიან ამ ურთიერთობებით გამოხატულ ადამიანურ ბედს, ეცნობიან ამ ბედით გამოხატულ ადამიანურ ბედნიერებას, ეცნობიან ამ ბედნიერებ